წლიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველ-
დღიურათ მასალები მიიღება რე-
დაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე.
რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30.
პირველი სართული.

პარასკ. 17 ნოემბერი
1922 წ.

№ 145 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 145

ცენტრალურ წით.-არმიელთა კლუბი

პარასკევს, 17 ნოემბერს 1922 წელს

გაიმართება საღამო-წარმოდგენა

I

სიკვდილის აჩრდილი

სანიტარული ინსცენიროვკა 2 სურათად მუსიკით.

II.

გასამართლება ე. ნინოშვილის მოთხრობის

„გოგია უიშვილისა“

III.

ლექსთა თქმა ცოცხალი სურათი

დასაწყისი 7 საათზე

მე-2-რე ამიერ-კავკასიის კომუნისტურ პარტიის კონფერენციის მისალმება ამიერ-კავკასიის წითელ არმიის და წითელ ფლოტისადმი.

მეორე ამიერ-კავკასიის კომპარტიის კონფერენცია ესალმება გმირულ ამიერ-კავკასიის წითელი ჯარებს და ფლოტს მათ რიგების განახლების გამო.

ახალგაზრდა [illegible] ძმანო რომელთაც შეავსეთ რიგები წითელი არმიისა, თქვენზეა დაკისრებული დიდი მოვალეობა, რომელიც პირნათლად უნდა შეასრულოთ მუშათა რესპუბლიკების და მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის წინაშე.

თქვენი მოვალეობაა მოკლე ხანში შეისწავლოთ ელემენტარული და პოლიტიკური ცოდნა. შეითვისოთ სამხედრო საქმე, მაგრამ თქვენ, მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილებო ეს მოვალეობანი უნდა შეასრულოთ იმავე გზით როგორც ამას გვიკარნახებთ მუშათა და გლეხთა წითელი ერმიის წარსული.

ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხები რომელნიც გამსჭვალულნი არიან წითელი არმიისადმი სიყვარულით ყოველ მხრივ ეცდება თქვენ ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას.

ამიერ-კავკასიის მეორე პარტკონფერენცია კომუნისტ. ორგანიზაციების გამოსთქვამს მტკიცე რწმენას რომ ახლად წვეულნი წითელ არმიელები პირნათლად შეასრულებენ და დაიცვენ წითელ მხედრის სახელს და მოვალეობას, აგრეთვე კონფერენცია სწამს, რომ თქვენ შესძლებთ დაიცვას განსაკუთრებული კავკასიის ცალკე არმიის სახელოვან მცნებების და ტრადიციებისა.

გაუმარჯოს ჩვენს განახლებულ წითელ არმიის რიგებს!

გაუმარჯოს წითელ ფლოტს!

გაუმარჯოს მტკიცე და განუყრელ კავშირს წითელი არმიის, წითელი ფლოტის და მშრომელ ხალხთა შორის.

ფაშისტური მეთოდით კაპიტალისტური მეურნეობის აღდგენა.

კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების პროცესში ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ურთიერთ დამოკიდებულება ღებულობდა სხვა და სხვა სახეს. კაპიტალიზმის პირველ ხანებში, კაპიტალისტები განუკითხავად ბატონობდენ ჯერ კიდევ დაურაზმავ და გაუთვითცნობიერებელ მუშათა კლასზე. რამდენათ ვითარდებოდა კაპიტალიზმი და ფაბრიკის ერთ ჭერქვეშ თავს უყრიდა ათასობით და ათიათასობით პროლეტარიატს, იმდენად მუშათა კლასი ირაზმებოდა თავიანთ პროფესიონალურ ორგანიზაციებში, ეცნობოდა კაპიტალიზმის შინაარსს და უფრო შეკრებულათ და დარაზმულათ აწარმოებდა კლასიურ ბრძოლას თავისი ეკონომიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. თანდათან მუშათა კლასი დარწმუნდა, რომ მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელია თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში მათაც არ მიიღეს მონაწილეობა. ამისათვის ყოველი ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული კლასიური ბრძოლა მუშათა კლასისა ამავ დროს გადახლართული იყო პოლიტიკურ მომენტებთანაც. მუშათა კლასი მოითხოვდა, რომ მათთვინაც მიეცათ საშუალება პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებისა. ბურჟუაზია იძულებული შეიქმნა, მუშათა კლასის ორგანიზაციული ძალდატანების გამო, რომ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში პროლეტარიატსაც „მიეღო“ მონაწილეობა. მუშათა კლასს მიეცა უფლება, რომ მათაც ამოერჩია თავისი წარმომადგენლები პარლამენტებში. მართალია ბურჟუაზია მეტათ ზღუდავდა მუშათა კლასის არჩევნების უფლებებს, მაგრამ მაინც ახერხებდა პროლეტარიატი თავისი წარმომადგენლების პარლამენტებში გაგზავნას, საიდანაც აცხადებდა თავისი ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესების აუცილებლობას. მუშათა კლასი იბრძოდა როგორც გაფიცვებითა და რევოლიუციონური გამოსვლებით ისე საპარლამენტო ტრიბუნიდან. კლასიურ ნიადაგზე ბრძოლაში მუშათა კლასი გამოიწრთო და შეიქნა ძლიერი საზოგადოებრივი ფაქტორი, რომელსაც იძულებული ბურჟუაზია ანგარიშს უწევდა. ბურჟუაზიის მიერ ანგარიშის გაწევა გამოიხატებოდა იმაში, რომ [illegible] წინააღმდეგობა დარაზმული მუშათა კლასისა ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხების, გაფიცვის საშუალებით, დაცვის დროს, ბურჟუაზია მიდიოდა დათმობაზე და შედარებით ხშირათ აწესრიგებდა კონფლიქტებს მშვიდობიანი გზით და ძვირათ მიმართავდა რეპრესიებს. რამდენათ მუშათა კლასი ორგანიზაციულათ ძლიერდებოდა იმდენათ მისი მოთხოვნილება უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა; ცდილობდა ბურჟუაზიისათვის პოლიტიკური მეთაურობის თანდათან ხელიდან გამოცლას, რაზედაც ბურჟუაზია ცხადია უპასუხებდა რეპრესიებით.

მსოფლიო ომის მიერ შექმნილი ეკონომიური კრიზისიდან გამოსვლა ბურჟუაზიამ ვერ შესძლო ძველი ნაცადი მშვიდობიანი გზით და იძულებული შეიქმნა მიემართა ძალისათვის, მუშათა კლასის მტკიცე ორგანიზაციულ წინააღმდეგობას ბურჟუაზიამ უპასუხა სამხედრო ძალდატანებით. გააძლიერა თავისი პოლიციური სამხედრო ორგანიზაცია და დაიწყო სასტიკი რეპრესიები მუშათა კლასის წინააღმდეგ; ვინაიდან შექმნილ საერთაშორისო ეკონომიურსა და პოლიტიკურ პირობებში მუშათა კლასი ფიქრობს, რომ მეურნეობის აღდგენა შეუძლია მხოლოდ მსოფლიო პროლეტარიატის ორგანიზაციას და არა კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიას, რომელიც შეიქმნა ნამდვილი რეგრესიული ფაქტორი ცხოვრებაში.

მსოფლიო მუშათა კლასი იბრძვის პროლეტარული დიქტატურის და მსოფლიო საბჭოთა ფედერაციის დამყარებისათვის. ბურჟუაზია თავისი უფლებების და კაპიტალისტური სისტემის დასაცავათ ქმნის ფაშისტურ ორგანიზაციებს. ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ბურჟუაზიამ დასთმო თავისი „დემოკრატიული“ გზა და ფაშისტური მეთოდით შეუდგა ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებას. ფაშისტური მეთოდი კი გამოიხატება მუშების მიმართ „დერჟიმორდას“ პოლიტიკაში, ბურჟუაზიას სურს ფაშისტური სამხედრო დიქტატურით უსულო საგნებათ აქციოს მუშათა კლასი და ამუშაოს წარმოებაში ისე, როგორც მონებს ამუშავებდენ ფეოდალები. მაგრამ ეს მეთოდი წარმოებაში მაშინ, როდესაც საერთაშორისო ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა გახრწნილია და მუშათა რევოლიუციის ვულკანის გუგუნი თანდათან ძლიერდება, მეტი რომ არ ვსთქვათ არის წმინდა უტოპიური.

პროლეტარულ რევოლიუციის მსვლელობა ნელის, მაგრამ უძლეველი ნაბიჯით წინ მიიწევს და ბურჟუაზიის ხავსივით ჩაჭიდება ფაშიზმზე მას ოდნავათაც ვერ შეაჩერებს.

ფ. ხ.

დღევანდელი ცნობები

—ლოზანის კონფერენციის გადადებამ პარიზში ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

—სტამბოლში მყოფი მოკავშირეთა უმაღლესი კომისრები წინააღმდეგი არიან ლოზანის კონფერენციის გადადების.

—ამიერ-კავკასიის პარტიულ კონფერენციაზე წითელი არმიის და წითელი ფლოტის განმტკიცებისათვის გამოტანილ იქმნა მთელი რიგი რეზოლიუციებისა.

—ბოლგარეთში ქ. სოფიაში არჩევნებში გაიმარჯვეს კომუნისტებმა.

ახლო აღმოსავლეთის ამბები

— სტამბოლიდან მიღებული ცნობით. სულთანი ისევ სასახლეში იმყოფება გარინგტონი უპირდება მას არ დასთმოს ტახტი.

— უკანასკნელ ცნობის თანახმად ლოზანის კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ მესოპოტამიისა და ეგვიპტის დელეგატები.

— ინგლისელებმა ჩამოიტანეს სტამბოლში 15 ჰაეროპლანი და ახდენენ ქალაქზე ფრენებს.

ანგორის პრესის აზრით ინგლისელებს სურთ პროვოკაცია მოაწყონ რათა გამოიწვიონ მცხოვრებთა არევ-დარევა ოკუპანტი ჯარის კაცები და პოლიციელები დადიან თავისუფალ ტანსაცმელში.

— სტამბოლში საოკუპაციო ხელისუფლება ავცრელებს ხმებს, თითქოს სულთანის გადადგომა მოხდა ბალშევიკების ზედგავლენით.

— სტამბოლში მდგომარეობა ფრიად კრიტიკულია. არა ოფიციალურად იუწყებიან, რომ მოკავშირეთა ჯარს სტამბოლში მოელის საფრთხე ქემალისტების მიერ.

— ლონდონის პოლიტიკურ წრეებში ახლო-აღმოსავლეთის საკითხის გამო დიდი მღელვარებაა. ბონარ-ლოუმ აღნიშნა, რომ მდგომარეობა არა ნაკლებ სერიოზულია, ვინემ ქემალისტების ჩანაკთან შემოტევის დროს. მღელვარება ლონდონში ძლიერდება იმ გარემოებით, რომ პუანკარემ უარი განაცხადა კერზონთან და მუსოლინთან შეხვედრაზე ლოზანის კონფერენციის მოწვევამდე. „პტი პარიზიენის“ ცნობით ინგლისი არ ჩევს უარი სთქვას ლოზანის კონფერენციაზე, ვინემ გამოაშკარაოს მოკავშირეთა შეუთანხმებლობა.

კამჩატკაზე

— კამჩატკაში დამყარდა საბჭოთა წესწყობილება. პეტროპავლოვსკში შესდგა რევოლიუციონური კომიტეტი, რომელმაც დეპეშით აცნობა ლენინს რომ ის სცნობს მხოლოდ საბჭოთა ძალაუფლებას. სოფლებში მოეწყო საბჭოები. თხოულობენ სამხედრო დახმარებას თეთრგვარდიელების წინააღმდეგ.

იტალია.

— ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად იტალიის კომპარტიამ მოაწყო ტურინში მიტინგი, რომელსაც დაესწრენ სოციალისტები და უპარტიონი.

— „ჩიკაგო ტრიბუნის“ რომის კორესპონდენტი იუწყება, მუსოლინის საომარი გამარჯვების გამო ევროპის სხვა და სხვა, სახელმწიფოებში წარმოიშვა ფაშისტური მოძრაობა. უნგრეთში, ავსტრიაში, სამხრეთსლავიაში, გერმანიაში და პოლონეთში უკვე არსებობენ ფაშისტური ორგანიზაციები, რომელთა ზრდა ეტყობათ.



ფერდინანდ ლასალი.

კარლ მარქსის და ენგელსის მოღვაწეობაზე უკვე გვქონდა ბაასი ჩვენს მკითხველებთან. ეხლა კი არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ფ. ლასალის და მისი მოღვაწეობის გაცნობაც.

ფ. ლასალი დაიბადა 1825 წ. მდიდარ ებრაელის ოჯახში. იგი ბავშობიდანვე ძალიან ბევრს სწავლობდა, მაგრამ უსისტემოდ. ეცნობოდა ის ფილოსოფიას და სხვა სოციალურ მეცნიერებათ და თანდათან ებმოდა თავის მოპირდაპირეთა საწინააღმდეგო ბრძოლაში. მოწინააღმდეგედი კი უამრავი იყო: გერმანიის სამთავროების მართველები, იუნკრები

ეროვნული ბიბლიოთეკა 145

და თავადები. ამათ წინააღმდეგ კი იბრძოდა გერმანიის ბურჟუაზია, რომელსაც უნდოდა ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. ის ეწეოდა პარლამენტარულ ბრძოლას ფეოდალების წინააღმდეგ მაგრამ ყოველთვის ნაცარში უვარდებოდა კოვზი. რადგან ძალა-უფლების მქონე თვით მპყრობელური მთავრობა, თავის სასარგებლოდ ყოველ ნაბიჯზე არღვევდა არსებულ კონსტიტუციას. ლასალიც მთელი თავისი ცეცხლური ენერგიით ჩაება ამ გაჩაღებულ ბრძოლაში. ის უმტკიცებდა ბურჟუაზიულ პარტიებს, რომ რადგან თვით მპყრობლობას უპყრავს სადავე, სამხედრო და ეკონომიურ ძალებისა, ის მოიქცევა ისე, როგორც მას სურს, რადგან ყოველი დაწერილი კონსტიტუცია მხოლოდ მაშინ სრულდება, როდესაც მის განსაზღვრულ პუნქტებს, განსაზღვრული ძალა იცავს. მხოლოდ თუ თქვენ არ შეგწევთ ძალა კონსტიტუციის დაცვის, მაშინ დასტოვეთ პარლამენტიო. მეორე დიდი დამსახურება ლასალის იმაში გამოიხატება, რომ მან პირველად ჩაუყარა საფუძველი გერმანიის მუშათა ორგანიზაციებს. ის ურჩევდა მუშათა კლასს არ გაყოლოდა ბურჟუაზიას მის თვით მპყრობელობის საწინააღმდეგო ბრძოლაში. მუშათა კლასის მდგომარეობა მხოლოდ მაშინ გაუმჯობესდება, როცა ის ჩამოაგდებს, ორივეს, როგორც თვით მპყრობელობას ისე ბურჟუაზიასო.

ამნაირად ის ეწევა დიდ მუშაობას მუშათა ორგანიზაციების შესაქმნელად. მისი მოქმედების ასპარეზი ამ შემთხვევაში, გერმანიის სამრეწველო ცენტრებია. მუშაობდა ის 2 წელიწად ნახევარი და ამ ხნის განმავლობაში მან დაბეჭდა 20 თავისი სიტყვა. მისი ასეთი მუშაობის შედეგი იყო საერთო გერმანიის მუშათა კავშირი, რომელიც დაარსდა ქ. ლეიპციგში. მთავარი მამოძრავებელი ძალა ამ მუშათა კავშირებისა იყო ფ. ლასალი. და ამიტომ არა ერთხელ განუცდია საშინელი დევნა მთავრობისაგან. ლასალი ამტკიცებდა, რომ მუშათა კლასის ბრძოლა სამუშაო ხელფასის გადიდების მიმართულებით ვერავითარ სასურველ შედეგს ვერ მიაღწევსო. ერთად ერთი ხსნის გზა იმაში გამოიხატება, რომ უნდა შეიქმნეს დამოუკიდებელი მუშათა კავშირები, რომელიც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყოველგვარი საწარმოო საშვალებებითო. აქედან კი აშკარა სჩანს, რომ სახელმწიფო ძალაუფლებაც არ უნდა იქნეს თავადაზნაურების და კაპიტალისტების ხელში. ფ. ლასალიც საუკეთესო მეგობარი იყო კ. მარქსის მხოლოდ არა ისეთი, როგორც ფ. ენგელსი, რადგან ზოგიერთ შემთხვევებში ის არ ეთანხმებოდა მეცნიერული კომუნიზმის იდეებს.

ის იყო დიდი მსწავლული და აგრეთვე უდიდესი აგიტატორი. შეითვისა რა კ. მარქსისაგან, რომ მუშათა კლასი არის განცალკევებული ყველა კლასებისაგან და თავისი ბრძოლით უნდა მიაღწიოს თავის საკუთარ ბედნიერებას, ის გასაოცარი ენერგიით შეუდგა მუშათა კლასის გამოფხიზლებას და ორგანიზაციულ ბრძოლისთვის შემოკრებას. სამი წლის მოღვაწეობის შემდეგ, მან თავისი ლომისებრივი გაბედულებით მთელი გერმანიის მუშათა კლასი ფეხზე დააყენა. არა ერთხელ მიუციათ ის სამართალში მაშინდელ ხელის უფლებას, მაგრამ თავის ცეცხლისებური სიტყვებით ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა მუშებმა ის რეიხსტაგში თავის კანდიდატათ გაიყვანეს, სადაც ის უდიდეს ორატორათ ითვლებოდა. მილიონები მშრომელი უგდებდა მას ყურს. მაგრამ იცოდა მისი სიძლიერეც გერმანიის კაპიტალისტებმა, რომელნიც ცდილობდნენ მის ხაფანგში გაბმას და მიზანსაც მიაღწიეს.

მოკვდა ლასალი უაზრო შემთხვევით—ტყვიით დუელში. მისმა ხანმოკლე მოღვაწეობამ მოგვცა დაუფასებელი შედეგები.

ჩვენს წითელ ჯარში

გაზ. „წ. არმ." უშმარეზიან

10 ნოემბერს სამწყობრო მეცადინეობის შემდეგ პირველ ესკადრონში წაკითხულ იქნა, გაზეთი „წითელ არმიელი". გაზეთის მოწინავე მოუწოდებდა ასეთი სათაურით „დაეხმარეთ თქვენს გაზეთს" გაზეთი მოუწოდებდა ყველა წითელ-არმიელებს რათა გაეწიონ ფინანსიური დახმარება რედაქციას.

„გაზეთის კითხვის დამთავრებისას წითელ-არმიელებმა ერთხმად დაადგინეს, რათა ჯამაგირის მიღების დროს გადასდონ 10,000 მანეთი თვითეულ წითელ-არმიელმა, ვისაც შეუძლიან კი მეტიც, ეს დახმარება არის ერთ დროული" და მავალითის მაჩვენებელი დანარჩენთათვის, შემდეგი დახმარებისათვის მიიღება ზომები საერთო ლეგიონის მასშტაბით ამ დადგენილების შესასრულებლათ იქნა ამორჩეული წითელ არმიელი გიმაძე, რომელსაც ევალება შეაგროვოს ფული და გადასცეს რედაქციას საჩქაროდ. მიბაძეთ მაგალითს, დაეხმარეთ ცხოვრების ნარკვს.

ქარხნიშვილი

დაუდევრობა თუ განზრახ გოროტება?

საერთოდ მე 2 რე ლეგიონის საავადმყოფოში დიდ უწესრიგობას აქვს ადგილი. წითელ არმიელ ავადმყოფებს სრულიად არ უვლიან ექიმები და ფერშლები. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ავადმყოფი წითელ არმიელები საავადმყოფოში იწვნენ უსაცვლებოთ მარტო თავისი საკუთარი ხალათით. რომ შეეკითხებოდით ფერშლებს: „რატომ არ არის თეთრეულიო", გვიპასუხებდნენ: „სარეცხავათ არის გაგზავნილიო..." მე თვითონ ერთი კვირა ვიწექი საავადმყოფოში და საცვლები არ ჩამიცვამს, არ ვიცი მართლა სარეცხავათ იყო წაღებული თუ არა. იყო შემთხვევა, დილით ექიმები გამოუწერდენ წ. არმიელებს წამალს და ფერშლები კი არ ასრულებდნენ ექიმის ბრძანებას და წამალს არ აძლევდენ ავადმყოფ წით. არმიელებსა. ერთად ერთი მოშველელი საავადმყოფოში არის ერთი მოწყალების და რომელიც კარგათ უვლის წ. არმიელებს. მე არ შემიძლია ყველა ის აღწერო რაც კი ხდებოდა საავადმყოფოში. საჭიროა ხანდისხან საავადმყოფოში შემოვიდეს ლეგ. თავი და სამხკომი და ნახონ თუ, როგორ პირობებში იმყოფებიან ანდა, როგორ უვლიან ფერშლები ავადმყოფ წით. არმიელებს.

წ. არმ. ფილაძე.

კვირაობაში ვმონაწილეობდით

ა. წ. 12 ნოემბერს თბილისის მცველ მხლებელთა ათასეულის კომუჯრედის წევრები და წითელ არმიელები ჩვენი მუსიკით სხვა ორგანიზაციებთან ერთად დიდი აღფრთოვანებით შეეგება კვირაობაში მონაწილეობის მიღებას, სადაც გავემგზავრეთ დილის 7 საათზე ფუნიკულიორზე და იქ ვმუშაობდით დღის პირველ საათამდე. მუშაობის შემდეგ გვიმართა ცეკვა თამაში და ნასიამოვნები დავბრუნდით ყაზარმისაკენ.

სამხკომი მაჩიტაძე.

დღე და ღამ ვმუშაობთ და მაინც საყვედური?!

ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლის არმიელები ამ ჟამად დიდ შრომას ეწევიან; ცხენოსან განყოფილებას, ბატარიის და უმწყობრო ასეულის ცხენების მოვლა დაკისრებული აქვთ წ. არმ. ელებს, (ვინაიდან კურსანტებს დრო არა აქვსთ მოუარონ თავიანთ ცხენებს) ამასთანავე ერთად დაკისრებული აქვთ დარაჯობა სკოლაში, რათა დაცული იქნეს საწყობში. საგუშაგოდგან გამოცვლის შემდეგ კი, იგზავნებიან ცხენების გამოკვებისთვის და სხვა მრავალი ასეთები. ერთი სიტყვით წ. არმიელები ეწევიან დიდ შრომას რომელთათვისაც განსაკუთრებული დრო და საათი არ არის. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ სკოლაში ზოგიერთი პირები, სკოლის უფროს კომისარს ეუბნებიან, ვითომც არმიელები არაფერს აკეთებდენ, რაც სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს. უნდა განვაცხადოთ მატყუარების საყურადღებოთ, რომ წითელი არმიელები პირნათლად ასრულებენ მოვალეობას რისთვისაც მადლობის ღირსნი არიან და არა გინების.

ვალერიანი.

სწავლის საქმე ჩვენს ასეულში.

ქართულ შეერთებულ სამხ. სკოლის უმწყობრო ასეულში სწავლა განათლების საქმე ჩადგა ნორმალურ კალაპოტში. წით. არმიელებმა დაიწყეს სისტემატიურად მეცადინეობა. ყოველ დღე გარდა შაბათ კვირისა. გვყავს სამი მასწავლებელი, მეცადინეობა სწარმოებს საღამოს 6 საათიდგან. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ სწავლა განათლების საქმე არ იყო დაყენებული ასთე როგორც დღეს არის. ეს იმიტომ, რომ დაბრკოლებას გვაძლევდა. სასწავლო ნივთების უქონლობა. პოლიტგანათლების ნაწილიდგან მიღებული იქმნა რვეულები, ფანქრები, წიგნები და სხვა. ურომლისოთაც შეუძლებელია წერა კითხვის მცოდნენი. ამასთანავე უნდა აღვნიშნო ამხ. ძნელაძის განსაკუთრებული დახმარება სასწავლო ნივთების მიღებაში. რისთვისაც დიდი მადლობა წ. არმიელების სახელით

ვალერიანი.

წერილი რედაქციის მიმართ

არ არის საიდუმლოება ქართულ პირველ ლეგიონში წასულ კვირაში პურის ირგვლივ ატეხილი ამბები. პური გამოდიოდა ფურნიდან სველი ხანდისხან მიწა ნარევი. ერთი სიტყვით ცუდი ხარისხის. ეს დიდ მნიშვნელობას იღებდა წონის მომატებაზე. სამნეო ნაწილის სათავეში მდგომს დიდი დანაშაული მიუძღვის, ვინაიდან საქმის ვითარება პირდაპირ ამტკიცებს მათ უყურადღებობას და ასეთი სერიოზული საკითხით, როგორც არის პურის გამოცხობა, არ დაინტერესებულა. ეს საქმე ძლიერ სერიოზულია და გადაჭრით მისი დასაბუთება მოხდება რევტრიბუნალში, სადაც მთელი საქმე გადაეცა. ვიმედოვნებთ დეტალური გამოკვლევის შემდეგ გამომზეურდება: „უყურადღებობა" თუ „გამომცხმელთან პატარა კავშირი".

ქართული დივიზიის პარტიული შკოლა, რომელიც სასურსათო კომისარიატ-ის საწყობიდან ღებულობს პურს, რომლის თვისებაზე, ჩვენ ვიყავით უკვე დამშვიდებულნი; გვიგზავნის აქტს №-15. საიდანაც სჩანს რომ პური შეიცავს სილას, ბზეს და სხვას გადაჭარბებულ პროცენტად. ხსენებულ საკითხების მსჯელობის დროს ადვილი შესაძლებელია დაშვებულ იქნეს შეცდომა თუ ხაზ გასმით ვიგულისხმებთ ვარაუდით სხვა და სხვა ობიექტიურ პირობებს, რომელთა შორის თავი და ბოლო ადგილი უჭირავს სასურსათო კომისარიატიდან მიღებული ცუდი ხარისხის პურის ფქვილს.

ეხლა გადავხედოთ ხორცის საქმეებს.

აქაც არ არის საქმე კარგათ. არის შემთხვევა, როდესაც სასურსათო კომისარიატის საყასბოდან ცუდი ხარისხის ხორცს აწოდებენ, რომელსაც იწუნებენ მისაღებად მოსულნი, მაგრამ ყურადღება არ სჩანს. იმავ საყასბოდან სასურსათო მომარაგება 6 ნოემბერს, ღებულობს ცუდი ხარისხის ხორცს. შემდგარი კომისია ექიმის თანდასწრებით—ხორცს იწუნებს, როგორც არა ჯანსაღი საქონლისას. ხარისხის გარდა სურსათის მიცემის დროს ემჩნევა ურიგო მოპყრობა წითელ არმიელებისადმი, ნამეტნურ საყასბოში, სადაც არამც თუ ყასბები, არამედ კომისარიატის წარმომადგენელიც კი უსაბუთოდ აცდევინებს არმიელებს, ხშირად წონის დროსაც კი და უშვერი სიტყვებითაც უმასპინძლდებიან.

არის შემთხვევები, რომ ცუდი მიმართულების პიროვნებები, სარგებლობენ იმ მიზეზით, რომ სურსათი დაბალი ხარისხისაა, ზენაცხობიც (3 [illegible]) მეტია, რომ დაკლული საქონლის შიგანს და თავს წმიდა ხორცის წონაში, ათავსებენ რის გამო ზედმეტს თვით იჯიბავენ. ჩვენ გვეკვირვის რატომ ხდება ეს ასე როცა გვყავს ნაწ. სხვა და სხვა კომისიები: (სარევიზიო, ინსპექციის დამხმარე და სხვა). მაშ როგორ ხდება ბოროტ-მოქმედება? აი აქ ყოფს თავს ის საშინელი მდგომარეობა, რომელიც მიზეზია ზემოხსენებული ბოროტ-მოქმედებისა. ჩვენ ვიცით, რომ თუ კომისიები იქნებიან ფხიზელნი მაშინ საქმეც ეგრე არ გაფუჭდება. ჩვენ ვიცით, რომ სახალხო სასურსათო კომისარი განცვიფრდა, კიდეც გაბრაზდა როდესაც გაიგო გლახა პურის გამოცხობა. აღნიშნული გარემოება ჩვენ გვიმტკიცებს რომ იმისთვის, როგორადაც მოსალოდნელი იყო, ძვირფასია წითელი ლაშქარი. უფლებას ვაძლევთ ჩვენს თავს ვიმედოვნოთ, რომ ის მიიღებს შესაფერ ზომებს; რათა შემდეგში ჯარისათვის სასურსათო კომისარიატის საწყობიდან და მის მოიჯარადრების მიერ იქნება უფრო მაღალი ხარისხის სურსათ-სანოვაგე.

სასურსათო მომარაგების სამხკომი:
ვ. ბახტაძე.

ყუმბარა

ორ წითელ-არმიელის საუბარი

1-ლი. ამხანაგო, იცი ალბათ თუ სტამბოლში დღეს რაც არი,
იქ ინგლისი ვეღარ მეფობს შეაყარეს თვალს ნაცარი
რეფიდ-ფაშა გუბერნატორობს! მუხრუჭს უჭერს ინგლისელებს
დარდანელის სრუტეებში დგამს ხაფანგებს, აბამს ქსელებს.

მე-2ე. გამეგება და მიტომაც დღეს გავწმინდე ჩემი თოფი;—
იქნებ რისხვა დღევანდელი „ანტანტასა" არა ყოფნის.

1-ლი ეხლა ნახე ამის გარდა, იტალიაში რა ხდება
ფაშისტებმა შეამზადეს ფიუმეში ახირება;—
და მუშებსა არ ეძლევათ იმათგან მოსვენება.
თუმცა იქა, აჯანყების დადის ჩუმი მოჩვენება.

მე2-ე. არაფერი ჩემო ძმაო ყველას ბოლო მოეღება,
ჩვენი რისხვის სიძლიერე რომის ქალაქს გადასწვდება.

1-ლი. ბონარ-ლოუს ეშინია, ინგლის ფრანგის შეჯახება
ამიტომაც ნოტებს „ქმნიან" რომ არ მოხდეს აჯანყება.
მაგრამ საქმეს რას უშველის წვეულება და ბანკეტი
კომინტერნის განცხადებით ყველას ესმის თავსა-რეტი.

მე-2ე. მე ეგ სულაც არ მადარდებს, ხედავ ვწმინდავ თოფის ლულას
ქარი როცა ამოვარდეს პარიჟს უძღვნი წითელ „ურას".

1-ლი. გერმანიის ციხეებში გამოცხადდა შიმშილობა
ამის გამო შეიდემანებს მთლათ დაერღვათ მყუდროება
და ტუსაღებს ძალათ სჩრიან რძეს, მაწონს და შაქარ თხლსა
იმათ საქმეს ვინ უშველის დამტვრეულს და დაძენძილსა.

მე 2ე. ყველა მაგათ გაასწორებს ღრმათ გათხრილი მძლე სამარე
ეხლა მივალ ყარაულში, გავაგრძელოთ ისევ ხვალე.
მაშ ალგზნებით გამარჯვებით.

ძველი.

ჩვენი ფოსტა

ბადრიას თქვენი ლექსი: „ძლივნად მოქალაქე ტყიშვილს" სუსტია ლანძღვაა—არ დაიბეჭდება.

ქარხნიშვილს. თქვენი ლექსი „საგუშაგოზე" სუსტია. არ დაიბეჭდება.

დავკარგე

ნინა გიორგის ასულმა ზინზერაძემ პოლიტგანყოფილებიდან პირადობის მოწმობა. ჩა-თვალოს გაუქმებულად.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან.
პასუხისმგებელი რედაქტორი პ. ქუთათელაძე.